საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

მთის არწივი

არწივი ფრთოსან მტაცებელთა სიძლიერის სიმბოლოა. მას ფრინველთა მეფეს უწოდებენ.

მსოფლიოში არწივის მრავალი სახეობაა გავრცელებული. ისინი ბინადრობენ ტყეებში, ველებზე, უდაბნოში, მაღალ მთებზე. საქართველოში გვხვდება ერთ-ერთი სახეობა - მთის არწივი.

მთის არწივი ზომით არც ისე დიდია. სხეულის სიგრძე დაახლოებით ერთი მეტრია, წონა - ექვს კილომდე. გაშლილი ფრთების სიგანე ორ-ნახევარი მეტრია. აქვს ხანჯალივით მჭრელი მოკაუჭებული ბრჭყალები და ნისკარტი. მისი თვალები ნაკვერჩხლებივით ანათებს და ადამიანზე 8-ჯერ უკეთესად ხედავს.

მთის არწივი მომცრო ზომის ცხოველებით იკვებება. ნადირობს შურთხზე, კაკაბზე, გნოლზე, კურდღელზე, მელაზე. აგრეთვე იტაცებს ბატკანს, თიკანს. განსაკუთრებით ემტერება გადამფრენ ფრინველებს - წეროებსა და ბატებს. მისი მსხვერპლი არაერთხელ ყოფილა ,,წითელ წიგნში" შეტანილი ფაუნის წარმომადგენელი. მიუხედავად ამისა, ის სასარგებლო ფრინველად მიიჩნევა, რადგან ძირითადად დაავადებულ ცხოველებს ანადგურებს.

მთის არწივი ერთგულებით გამოირჩევა. ის თავის საბუდარს არ სცილდება. სადაც იბადება, მთელ სიცოცხლეს იქ ატარებს. წყვილები სიცოცხლის ბოლომდე არ შორდებიან ერთმანეთს.

ცნობილია, რომ არწივები საკმაოდ ფრთხილები არიან. ცდილობენ ადამიანებს მოერიდონ. თუ ვინმე სამას მეტრამდე მიუახლოვდა, ჩუმად მიფრინავენ საკუთარი ბუდიდან. ამიტომაც მთის არწივი საბუდრად მიუდგომელ კლდიან ადგილს ირჩევს. აგებს დიდი ზომის ბუდეს, რომლის დიამეტრი ხშირად 2-3 მეტრს აღემატება. ბუდის ძირითადი ნაწილი

LIVEWORKSHEETS

მსხვილი ტოტებისაგან შედგება, დანარჩენი - წვრილი ტოტებისა და ყლორტებისაგან. შიგ ჩაფენილია ბუმბული და ხმელი ბალახი.

მთის არწივი გამრავლებას ოთხი-ხუთი წლის ასაკში იწყებს. წყვილდებიან თებერვალში. მარტ-აპრილში დედალი დებს მუქლაქებიან 1-2 მოზრდილ თეთრ კვერცხს. 40-45 დღის შემდეგ მართვეები იჩეკებიან. მათზე წყვილი თანაბრად ზრუნავს, თუმცა ორივე მართვეს გადარჩენა ყოველთვის არ ხერხდება. ეს ძირითადად დამოკიდებულია საკვებზე. თუ საკმარისი საკვები აქვთ, ორ მართვეს ზრდიან. თუ არ ჰყოფნით საკვები – მხოლოდ ერთს. მართვეები შებუმბვლას მაისში იწყებენ და ივნისის ბოლოს ამთავრებენ. ფრენას კი 80 დღის ასაკში სწავლობენ.

ბოლო წლებში მთის არწივის რაოდენობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა. ეს ძირითადად გამოიწვია მათზე ნადირობამ, ადამიანების მიერ მოწამლული სატყუარების გამოყენებამ. ასევე საკვების ნაკლებობამ და მათს ბუნებრივ პირობებში უხეშმა ჩარევამ. გარდა ამისა, არწივის კვერცხებს ყვავები ან სხვა ფრინველები ემტერებიან. უკანასკნელი მონაცემებით საქართველოში მთის არწივთა რაოდენობა 30 წყვილს არ აღემატება. ამიტომაც არის ის ,,წითელ წიგნში" შეტანილი. ზოგ ქვეყანაში მთის არწივის გადარჩენაზე საგანგებოდ ზრუნავენ. მაგალითად, ფინეთში სპეციალურ საკვებს უყრიან. ასევე იცავენ არა მარტო მონადირეებისგან, არამედ ფოტოგრაფებისგანაც. ამ იშვიათ მტაცებლებს აბსოლუტურ სიწყნარეში შეუძლიათ ნორმალურად ცხოვრება და გამრავლება.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **მესამე აბზაცის მიზანია, გაგვაცნოს:**

   ა) რა დანიშნულება აქვს არწივის ბრჭყალებს.

   ბ) რატომ ხედავს არწივი ადამიანზე უკეთესად.

   გ) როგორია მთის არწივი გარეგნობით.

LIVEWORKSHEETS

2. მთის არწივი სასარგებლო ფრინველია, რადგან ის ანადგურებს:

ა) გადამფრენ ფრინველებს.
ბ) დაავადებულ ცხოველებს.
გ) მტაცებელ ცხოველებს.

3. მთის არწივები საბუდრად მიუდგომელ კლდიან ადგილს ირჩევენ, რადგან:

ა) მხოლოდ ასეთ ადგილებში შეუძლიათ დიდი ბუდეების გაკეთება.
ბ) მხოლოდ ასეთ გარემოში შეუძლიათ საკმარისი საკვების პოვნა.
გ) მხოლოდ წყნარ გარემოში შეუძლიათ ნორმალურად გამრავლება.

4. რაზეა დამოკიდებული, რამდენ მართვეს გაზრდის მთის არწივი?

ა) ბუდის სიდიდეზე.
ბ) მამრის მზრუნველობაზე.
გ) საკვების რაოდენობაზე.

5. რატომ იკრძალება მთის არწივზე ნადირობა?

ა) გადაშენების პირასაა მისული.
ბ) მუქლაქებიან კვერცხებს დებს.
გ) სახიფათოა მისი მოკვლა.

6. ბოლო აბზაცში ვეცნობით:

ა) რამ განაპირობა მთის არწივების რაოდენობის შემცირება.
ბ) როგორ დადგინდა საქართველოში მთის არწივთა რაოდენობა.
გ) რომელ ქვეყნებში შემცირდა განსაკუთრებით არწივთა რაოდენობა.

LIVEWORKSHEETS